



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

# ვინ აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში



2017 წლის დეკემბერი

## კვლევის ავტორები

გიგი ჩიხლაძე

## კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი

ლევან ნატროშვილი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



# სარჩევნი

ძირითადი მიგნებები	3
შესავალი	5
თავი I. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო	7
თავი II. განხორციელებული შემოწირულებების ანალიზი	9
2. შემომწირველთა ბიზნეს ინტერესები და მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები	9
2.1. ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შემომწირველები	10
2.2. „პოლიმერი“-ს შემთხვევა	11
2.3. ვაჟა ციგროშვილის შემთხვევა	11
2.4. „ჯეუ გრუპი“-ს შემთხვევა	11
2.5. „გბამშენი-18“-ის შემთხვევა	12
2.6. გიორგი ჭყონიას შემთხვევა	12
2.7. „იბეროილი“-ს შემთხვევა	12
2.8. გოგი ლიპარტელიანთან დაკავშირებული შემომწირველები	12
2.9. „თეგეტა მოტორს“-ის შემთხვევა	13
2.10. სხვა საინტერესო შემთხვევები	13
3. საჯარო მოსამსახურეების მიერ განხორციელებული შემოწირულებები	14
რეკომენდაციები	15
დანართი #1	16
დანართი #2	19

# ძირითადი მიგნებები

2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრის ჩათვლით ქართული პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებების დეტალურმა შესწავლამ შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა:

## ზოგადი ტენდენციები

- მთლიანობაში პოლიტიკურმა პარტიებმა 15 480 402 ლარის ოდენობის შემოწირულება მოიზიდეს, საიდანაც 11 189 128 (72%) ლარი 1 117 ფიზიკური პირის მიერ გაღებული თანხაა, ხოლო 4 291 274 ლარი – 68 იურიდიული პირის მიერ;
- ამ თანხის უდიდესი ნაწილი 14 124 553 ლარი (91%) მიიღო პოლიტიკურმა პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, შემდეგ მოდის „ევროპული საქართველო-მოდრაობა თავისუფლებისთვის“ 950 833 ლარით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 122 496 ლარით, „პატრიოტთა ალიანსი“ – 66 392 ლარით და „ეროვნული ფორუმი“ – 39 182 ლარით;
- „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულება თხუთმეტჯერ აღემატება მეორე ადგილზე გასული „ევროპული საქართველოს“ შემოწირულებას და ათჯერ მეტია ყველა სხვა პარტიის ჯამურ შემოწირულებებზე;
- 68 შემომწირველი იურიდიული პირიდან 61 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, რომლებმაც მთლიანობაში მმართველ პარტიას 4 285 543 ლარი შესწირეს. მხოლოდ შვიდმა იურიდიულმა პირმა გაიღო შემოწირულება „პატრიოტთა ალიანსის“, „ეროვნული ფორუმის“ და „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ საერთო ოდენობით 5 711 ლარი. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, 1 117 შემომწირველიდან 537 „ქართული ოცნების“ დონორი იყო, რომელთაგან 279 ადამიანი, თავის მხრივ, 782 კომპანიასთან იყო გარკვეულ კავშირში;
- კვლევისას გამოკვეთეთ 42 საინტერესო შემთხვევა, როდესაც ორ ან მეტ შემომწირველს გარკვეული კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან და ერთობლივად მინიმუმ 20 000 ლარი მაინც ჰქონდა შეწირული;
- განხორციელებული შემოწირულებების ავტორებიდან აღმოჩნდა ისეთი 30 ფიზიკური პირი, რომლებმაც 2012 წელს მაშინდელი სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გაიღო თანხები, 2017 წელს კი ამჟამინდელის - „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ;

## განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევები

- ბიძინა ივანიშვილთან ამა თუ იმ ფორმით ღიად დაკავშირებულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა „ქართულ ოცნებას“ 2017 წელს 565 000 ლარი შესწირეს, 2016-17 წლებში კი ამ თანხამ ერთ მილიონ ლარს გადააჭარბა;
- შპს „პოლიმერი“-სა და „პოლიმერი 1“-ის თანამფლობელმა ხუთმა ფიზიკურმა პირმა 2016-17 წლებში მმართველ პარტიას მთლიანობაში 400 000 ლარი შესწირეს. ეს ორი კომპანია იმით არის აღსანიშნავი, რომ ისინი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები არიან. ამ პროგრამის ფარგლებში 2016 წლის 29 სექტემბერს შპს „პოლიმერი 1“-ს თბილისში ქვემო ფონიჭალაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 2 990 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადაეცა;

- 2016-17 წლებში „ქართულ ოცნებას“ 170 000 ლარი შესწირეს ვაჟა ციგროშვილმა და მისმა ბიზნესპარტნიორმა ბეჟან ანუაშვილმა. ამ ორმა პირმა გასულ წელს მმართველი პარტიის ანგარიშზე ერთსა და იმავე დღეს - 31 აგვისტოს ჯამში 75 000 ლარი შეიტანა. ამ ამბიდან ორ კვირაში საქართველოს პროკურატურამ ერთი-ერთი საქმე გახსნილად გამოაცხადა, რომლის შედეგადაც ვაჟა ციგროშვილს სახელმწიფოს ბალანსზე არსებული 13 ავტომანქანა და 5 კვადროციკლი უკან დაუბრუნდა;
- მიმდინარე წლის 24 აგვისტოს „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში 50 000 ლარი შესწირეს შპს „ჯეუ გრუპი“-ს დირექტორებმა გიორგი მარკოიშვილმა და ნინო კიკაბიძემ. „ჯეუ გრუპი“ მსხვილი კომპანიაა, რომელიც ძირითადად თბილისში საგზაო-სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს. 2015 წლიდან „ჯეუ გრუპმა“ დაახლოებით 7 მლნ ლარის სახელმწიფო კონტრაქტები მიიღო გამარტივებული შესყიდვის გზით. გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ტენდერი ამ კომპანიამ მიმდინარე წლის ოქტომბერში, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ შემოწირულების განხორციელებიდან ორ თვეში, მოიგო;
- შპს „გზამშენი-18“-ის ორმა თანამფლობელმა თეიმურაზ ჯახვამ და ვახტანგ ქანტურიამ 2017 წლის 5 სექტემბერს „ქართულ ოცნებას“ ჯამში 25 000 ლარი შესწირეს. „გზამშენი-18“ მსხვილი საგზაო-სამშენებლო კომპანიაა, რომელმაც მხოლოდ მიმდინარე წელს დაახლოებით 10 მლნ ლარის ღირებულების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება მიიღო, მათ შორის ყველაზე მსხვილი - 4.6 მლნ ლარის ღირებულების კონტრაქტი ამ კომპანიას შემოწირულების განხორციელებიდან სამ კვირაში დაუდეს;
- 2017 წლის 1 ივნისიდან სულ 27-მა თანამდებობის პირმა და მათმა ოჯახის წევრმა განახორციელა 5 000 ლარზე მეტი მოცულობის ფულადი შემოწირულება. ჩვენი შემოწმების ინტერესს წარმოადგენდა ის საჯარო მოხელეები, ან მათი ოჯახის წევრები, რომელთა მიერ პარტიისთვის გაღებული თანხა, მათი ოჯახის დეკლარირებული შემოსავლის დიდ წილს შეადგენდა. ამ მხრივ ორი შემომწირველი გამოვარჩიეთ, რომლებმაც საკუთარი ოჯახის წინა წლის წმინდა შემოსავლის ნახევარზე მეტი შეწირეს პოლიტიკურ პარტიებს.

# შესავალი

პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს არჩევანი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის, რათა არ მოხდეს ერთპიროვნული სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პარტიების სიძლიერე და პოპულარობა კი დიდ წილად მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში ხშირად ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს დაფინანსების მოპოვება უჭირთ ხოლმე და ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ გუნდს ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. ეს კი ასუსტებს კონკურენციას პოლიტიკურ პარტიებს შორის, რასაც, თავის მხრივ, მიყვარს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეფერხებისკენ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წლებია უკვე, რაც სწავლობს და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქვეყნის მთელი მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ერთი შუალედური კვლევა ოქტომბერში უკვე გამოაქვეყნა, სადაც მთავარი აქცენტი პოლიტიკური პარტიების მიერ 2017 წლის 1 ოქტომბრამდე მიღებულ შემოწირულებებზე იყო გაკეთებული.<sup>1</sup>

ამჯერად იგივე საკითხზე წარმოგიდგინთ უფრო დეტალურ კვლევას, რომელშიც ძირითადად გაანალიზებულია 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე განხორციელებული კერძო შემოწირულებები. გარდა ამისა, შემომწირველებთან დაკავშირებული საყურადღებო ფაქტების აღმოსაჩინად განვლილ წლებში მომხდარი სხვა რელევანტური შემთხვევებიც იქნა შესწავლილი.

პოლიტიკური პარტიების შემოწირულებების შესახებ მონაცემები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდიდან<sup>2</sup> ავიღეთ. წინა ანგარიშში ვწერდით, რომ ვებგვერდზე იყო გარკვეული ხარვეზები, რის გამოც ზოგიერთი მონაცემი არ არის სრული, მაგალითად, დამოუკიდებელი კანდიდატების შემოწირულებებზე ინფორმაცია კვალავ არ არის დამატებული. აქედან გამომდინარე, მონაცემების სისწორეზე ბოლომდე პასუხისმგებლობის აღება რთულია. ანალიზისას, ასევე, გამოვიყენეთ პოლიტიკური შემოწირულებების შესახებ ჩვენი ორგანიზაციის ვებგვერდიც.<sup>3</sup>

შემოწირულებების შესწავლისას რამდენიმე საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება: პირველ რიგში, ვეცადეთ დაგვედგინა თუ ვინ არიან პარტიების ყველაზე მსხვილი შემომწირველები და ხომ არ არის მათ შორის გარკვეული ბიზნეს ან სხვა სახის კავშირები. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ იცოდეს რა ინტერესჯგუფები აფინანსებენ პარტიებს საქართველოში. ასევე, ვეცადეთ აღმოგვეჩინა ისეთი შემომწირველები, რომლებიც სხვადასხვა დროს რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას აფინანსებდნენ, განსაკუთრებით საინტერესოა ის ადამიანები ან ორგანიზაციები, რომლებიც 2012 წლის ოქტომბრამდე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აფინანსებდნენ, ხოლო ოქტომბრიდან, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, ამ პარტიის დაფინანსება დაიწყეს. გარდა ამისა, ვეცადეთ დაგვედგინა ზოგიერთი მსხვილი შემომწირველის შესაძლო მოტივაცია, ასევე, გამოგვეკვინათ გარკვეული საეჭვო გარემოებები და პოლიტიკური კორუფციის პოტენციური რისკები.

1 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის (შუალედური ანგარიში), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2017 წლის ოქტომბერი: <https://goo.gl/t9pCUx>

2 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ: <https://monitoring.sao.ge/>

3 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს ვებგვერდი პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ: [www.politicaldonations.ge](http://www.politicaldonations.ge)

ანგარიშის დასაწყისში მიმოხილულია პოლიტიკური პარტიების შემოწირულებების ძირითადი მარეგულირებელი ჩარჩო და ჯამური მონაცემები შემდეგ კი გაანალიზებულია შემომწირველთა კავშირები ბიზნეს კომპანიებთან და სხვადასხვა ინტერესჯგუფებთან, ასევე, წარმოდგენილია გარკვეული საექვო ან საინტერესო გარემოებები, რომლებიც პოლიტიკური კორუფციის რისკებს შეიძლება აჩენდეს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კიდევ ერთ და საბოლოო კვლევას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მომავალი წლის დასაწყისში გამოაქვეყნებს მას შემდეგ, რაც ყველა პარტიების მიერ წარდგენილი იქნება საარჩევნო კამპანიის შემაჯამებელი ფინანსური დეკლარაციები. საბოლოო კვლევაში გაანალიზებული იქნება პარტიების როგორც შემოსავლები, ისე ხარჯები

# თავი I. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო აქტით რეგულირდება. ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საარჩევნო კოდექსი“, ასევე, კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ - და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებებით. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით საკანონმდებლო ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.<sup>4</sup>

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ პირებს ვისზეც ვრცელდება პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული შემზღვევლი რეგულირებები. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონი იცნობს, როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის ცნებას. კანონის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური რეგულირება არსებობს საარჩევნო კამპანიისთვის / წინასაარჩევნო პერიოდისთვის. საარჩევნო კამპანია ოფიციალურად იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ვალდებული არიან, გაიარონ საარჩევნო რეგისტრაცია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. რეგისტრაციის შემდეგ პოლიტიკური პარტია ხდება საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც ყოველ სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უნდა წარუდგინოს მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ამსახველი ფინანსური დეკლარაციები. არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ კი საარჩევნო სუბიექტი ერთი თვის ვადაში წარადგენს მთლიანი საარჩევნო კამპანიის ანგარიშგებას. პოლიტიკური პარტიების გარდა საარჩევნო სუბიექტი შეიძლება იყოს, საინიციატივო ჯგუფი ან დამოუკიდებელი კანდიდატი, რომლებზეც, ასევე, ვრცელდება საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული რეგულაციები.

რაც შეეხება შემოწირულებებს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონით ამ ტერმინში მოიაზრება:

- პარტიის ანგარიშზე ფიზიკური, ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა;
- პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/ შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

4 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის (შუალედური ანგარიში), „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2017 წლის ოქტომბერი: <https://goo.gl/t9pCUx>

შემოწირულებების განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:

- შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ;
- შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით;
- პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს.

ასევე, აკრძალულია შემოწირულების მიღება:


- სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;
- სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან;
- არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ანონიმური ფორმით.

# თავი II. განხორციელებული შემოწირულებების ანალიზი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვებგვერდზე არსებული მონაცემებით, 2017 წლის 2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე პოლიტიკურმა პარტიებმა 15 480 402 ლარის ოდენობის შემოწირულება მოიზიდეს, საიდანაც 11 189 128 (72%) ლარი 1 117 ფიზიკური პირის მიერ გაღებული თანხაა, ხოლო 4 291 274 ლარი – 68 იურიდიული პირის მიერ.

ამ თანხის უდიდესი ნაწილი 14 124 553 ლარი (91%) მიიღო პოლიტიკურმა პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (შემდეგში „ქართული ოცნება“), შემდეგ მოდის „ევროპული საქართველო-მოდრაობა თავისუფლებისთვის“ (შემდეგში „ევროპული საქართველო“) 950 833 ლარით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (შემდეგში „ენმ“) – 122 496 ლარით, „პატრიოტთა ალიანსი“ – 66 392 ლარით და „ეროვნული ფორუმი“ – 39 182 ლარით (იხილეთ **დიაგრამა #1**).

დიაგრამა #1 პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები (2017 წლის 1 ივნისი - 1 ნოემბერი)



წყარო: [www.monitoring.sao.ge](http://www.monitoring.sao.ge)

**„ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულება თხუთმეტჯერ აღემატება მეორე ადგილზე გასულ „ევროპული საქართველოს“ შემოწირულებას და ათჯერ მეტია ყველა სხვა პარტიის ჯამურ შემოწირულებებზე.**

## 2. შემომწირველთა ბიზნეს ინტერესები და მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები

ზემოთნახსენები 68 შემომწირველი იურიდიული პირიდან 61 „ქართული ოცნების“ შემომწირველია, რომლებმაც მთლიანობაში მმართველ პარტიას 4 285 543 ლარი შესწირეს. მხოლოდ შვიდმა იურიდიულმა პირმა გაიღო შემოწირულება „პატრიოტთა ალიანსის“, „ეროვნული ფორუმის“ და „ევროპული საქართველოს“ სასარგებლოდ საერთო ოდენობით 5 711 ლარი. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, 1 117 შემომწირველიდან 537 „ქართული ოცნების“ დონორი იყო, რომელთაგან 279 ადამიანი, თავის მხრივ, 782 კომპანიასთან იყო გარკვეულ კავშირში.<sup>5</sup>

5 კომპანიის დირექტორი, სხვა ხელმძღვანელი თანამდებობის პირი ან პარტნიორი (წილის მფლობელი)

განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ „ქართული ოცნების“ შემომწირველები იწვევენ, ვინაიდან, როგორც წესი, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკურ პარტიას მიუწვდება ხელი, მხარდაჭერის სანაცვლოდ გარკვეული სარგებელი მისცეს საკუთარ დონორს, იქნება ეს სახელმწიფო კონტრაქტი თუ რამე სხვა რესურსი ან უპირატესობა.

კვლევისას გამოვკვეთეთ 42 საინტერესო შემთხვევა, როდესაც ორ ან მეტ შემომწირველს გარკვეული კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან (**დანართი #2**-ში იხილეთ ინფოგრაფიკები) და ერთობლივად მინიმუმ 20 000 ლარი მაინც ჰქონდა შეწირული. განსაკუთრებით აღსანიშნავი შემთხვევები მომდევნო ქვეთავებში დეტალურად არის განხილული.

## 2.1. ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული შემომწირველები

2017 წლის 1 ივნისიდან „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში 125 000 ლარი შესწირა საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრთან - **ბიძინა ივანიშვილთან** დაკავშირებულმა სს „**ბანკი ქართუ**“-ს ხუთმა დირექტორმა:

- **ნატო ხაინდრავა** (გენერალური დირექტორი)
- **გივი ლუბანიძე** (ფინანსური დირექტორი)
- **დავით გალუაშვილი** (ოპერაციების დირექტორი)
- **ზურაბ გოგუა** (კომერციული დირექტორი)
- **ბექა კვარაცხელია** (რისკების დირექტორი)

გარდა ამისა, ეს ხუთი პირი „ქართულ ოცნებას“ 2012 წლიდანაც სწირავდა სოლიდურ თანხებს, შესაბამისად, 2012-17 წლებში მათ მიერ მთლიანმა შეწირულმა თანხამ ნახევარ მილიონ ლარს გადააჭარბა (იხილეთ **ინფოგრაფიკი #2**).

ბიძინა ივანიშვილთან ამა თუ იმ ფორმით გაცხადებული კავშირის მქონე შემომწირველებიდან, ასევე, საინტერესოა მის ძმასთან - ალექსანდრესთან დაკავშირებული პირები.

2017 წელს **ალექსანდრე ივანიშვილმა** მმართველ პარტიას 30 000 ლარი შესწირა. გარდა ამისა, სოლიდური თანხები გაიღეს მის ნაწილობრივ მფლობელობაში მყოფმა შპს-მ **„ციტადელი“** და მის სხვა კომპანიებთან დაკავშირებულმა ფიზიკურმა პირებმა. ალექსანდრე ივანიშვილმა და მისმა ბიზნესპარტნიორებმა 2016-17 წლებში „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში 330 000 ლარის შესწირეს. ამასთანავე, საინტერესოა, რომ ერთ-ერთმა შემომწირველმა **დავით დუგლაძემ** 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გაიღო 60 000 ლარი. (იხილეთ **ინფოგრაფიკი #7**).

ზოგადად უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის 1 ივნისიდან განხორციელებული შემომწირულებების ავტორებიდან აღმოჩნდა ისეთი 30 ფიზიკური პირი, რომლებმაც 2012 წელს მაშინდელი სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გაიღო თანხები, 2017 წელს კი ამჟამინდელის - „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

2017 წელს კიდევ სამმა ისეთმა პირმა შესწირა მმართველ პარტიას, რომელთა ბიძინა ივანიშვილთან კავშირები საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია. კერძოდ, ივანიშვილის მეუღლესთან **ეკატერინე ხვედელიძესთან** ასოცირებული შპს **„აქცეპტი“**-ს<sup>6</sup> წილის მფლობელმა **ლერი კაპანაძემ** „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, 2016 წლის მსგავსად, მიმდინარე წელსაც 50 000 ლარი გაიღო. ასევე, ამ ჯგუფის პარტნიორებმა **კახა კობიაშვილმა** და **ავთანდილ კოჩაძემ** მმართველ პარტიას ჯამში 100 000 ლარი შესწირეს (იხილეთ **ინფოგრაფიკი #12**).

6 ხვედელიძე შპს „აქცეპტი“-ს წილს ამჟამად აღარ ფლობს

რომ შევაჯამოთ, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილთან ამა თუ იმ ფორმით ღიად დაკავშირებულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა „ქართულ ოცნებას“ 2017 წელს 565 000 ლარი შესწირეს, 2016-17 წლებში კი ამ თანხამ ერთ მილიონ ლარს გადააჭარბა. აქვე უნდა ითქვას, რომ არ არის გამორიცხული, სხვა შემომწირველებიც იყვნენ ყოფილი პრემიერმინისტრის ბიზნესინტერესებთან დაკავშირებული, რომელთა იდენტიფიცირებაც ჩვენ ვერ შევძელით.

## 2.2. „პოლიმერი“-ს შემთხვევა

„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი მსხვილი შემომწირველი შპს „პოლიმერი“-სა და „პოლიმერი 1“-ის თანამფლობელი 5 ფიზიკური პირი იყო. ამირან ადეიშვილმა, ილია სეფიაშვილმა, რევაზ ქარჩავამ, მორის ხუციშვილმა და ზაზა ხუციშვილმა 2016-17 წლებში მმართველ პარტიას მთლიანობაში 400 000 ლარი შესწირეს (იხილეთ ინფოგრაფიკი #5).

ეს ორი კომპანია იმით არის აღსანიშნავი, რომ ისინი სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“<sup>7</sup> ბენეფიციარები არიან. ამ პროგრამის ფარგლებში 2016 წლის 29 სექტემბერს შპს „პოლიმერი 1“-ს თბილისში ქვემო ფონიჭალაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 2 990 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა სიმბოლურ ფასად ერთ ლარად გადაეცა. გარიგების თანახმად, კომპანიას 700 000 ლარამდე ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა, რაც პოლიეთილენის მიწების საწარმოს აშენებას გულისხმობდა.<sup>8</sup> საინტერესოა, რომ მიწის გადაცემის დღიდან ორ კვირაში ზემოთ ნახსენები ხუთი პარტნიორიდან ოთხმა ერთსა იმავე დღეს - 13 ოქტომბერს შესწირა „ქართულ ოცნებას“ 160 000 ლარი, ერთი თვის შემდეგ კი მეხუთე პარტნიორმა - ზაზა ხუციშვილმა იგივე პარტიის სასარგებლოდ დამატებით 30 000 ლარი გაიღო.

## 2.3. ვაჟა ციგროშვილის შემთხვევა

2016-17 წლებში „ქართულ ოცნებას“ 170 000 ლარი შესწირეს ვაჟა ციგროშვილმა და მისმა ბიზნესპარტნიორმა ბეჟან ანუაშვილმა (იხილეთ ინფოგრაფიკი #26). ეს შემთხვევა იმით არის საინტერესო, რომ ამ ორმა პირმა გასულ წელს მმართველი პარტიის ანგარიშზე ერთსა და იმავე დღეს - 31 აგვისტოს ჯამში 75 000 ლარი შეიტანა. ამ ამბიდან ორ კვირაში საქართველოს პროკურატურამ ერთი-ერთი საქმე გახსნილად გამოაცხადა, რომლის შედეგადაც ვაჟა ციგროშვილს სახელმწიფოს ბალანსზე არსებული 13 ავტომანქანა და 5 კვადროციკლი უკან დაუბრუნდა. პროკურატურის განცხადებით, 2008 წელს ამ ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ციგროშვილს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა საპატიმროდან გათავისუფლების სანაცვლოდ აიძულეს.<sup>9</sup>

## 2.4. „ჯეუ გრუპი“-ს შემთხვევა

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს „ქართულ ოცნებას“ მთლიანობაში 50 000 ლარი შესწირეს შპს „ჯეუ გრუპი“-ს დირექტორებმა გიორგი მარკოიშვილმა და ნინო კიკაბიძემ (იხილეთ ინფოგრაფიკი #35). „ჯეუ გრუპი“ მსხვილი კომპანიაა, რომელიც ძირითადად თბილისში საგზაო-სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს. 2015 წლიდან „ჯეუ გრუპმა“ დაახლოებით 7 მლნ ლარის სახელმწიფო კონტრაქტები მიიღო გამარტივებული შესყიდვის გზით, მათგან ყველაზე დიდი - დაახლოებით 5 მლნ ლარის ხელშეკრულება კომპანიამ შარშან კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობისთვის მიიღო. გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტების გარდა, 2013 წლიდან „ჯეუ გრუპი“ მსხვილი ტენდერების გამარჯვებულიც არაერთხელ ყოფილა, მთლიანობაში კი დაახლოებით 50 მლნ ლარის ხელშეკრულება აქვს დადებული ტენდერის გზით. მათგან ერთ-ერთი

7 სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები: <http://map.enterprisegeorgia.gov.ge/>

8 საქართველოს მთავრობის განკარგულება #1982, 2016 წლის 29 სექტემბერი: <https://goo.gl/BdbP5d>

9 საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადება, 2016 წლის 13 სექტემბერი: [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=1008](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1008)

ყველაზე მსხვილი ტენდერი ამ კომპანიამ მიმდინარე წლის ოქტომბერში, „ქართულის ოცნების“ სასარგებლოდ შემოწირულების განხორციელებიდან ორ თვეში, მოიგო, რომელიც 2019 წლის თებერვლამდე ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთის გზის რეაბილიტაციისთვის დაახლოებით 8 მლნ ლარის გადახდას ითვალისწინებს.

## 2.5. „გზამშენი-18“-ის შემთხვევა

შპს „გზამშენი-18“-ის ორმა თანამფლობელმა **თეიმურაზ ჯახვამ** და **ვახტანგ ჭანტურიამ** 2017 წლის 5 სექტემბერს „ქართულ ოცნებას“ ჯამში 25 000 ლარი შესწირეს (იხილეთ **ინფოგრაფიკი #41**). „გზამშენი-18“ მსხვილი საგზაო-სამშენებლო კომპანიაა, რომელმაც მხოლოდ მიმდინარე წელს დაახლოებით 10 მლნ ლარის ღირებულების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება მიიღო, მათ შორის ყველაზე მსხვილი - 4.6 მლნ ლარის ღირებულების - **კონტრაქტი ამ კომპანიას შემოწირულების განხორციელებიდან სამ კვირაში დაუდეს**.

## 2.6. გიორგი ჭყონიას შემთხვევა

ბოლო ორი წლის მანძილზე „ქართულ ოცნებას“ 170 000 ლარი შესწირეს **გიორგი ჭყონიამ** და მისმა ოთხმა ბიზნესპარტნიორმა (**ჯიმშერ ზოიძე, მალხაზ დუმბაძე, გია ქათამაძე** და **ჯემალ ჭყონია**). ასევე, საინტერესოა, რომ ჭყონიამ და დუმბაძემ 2012 წელს 75 000 ლარი გაიღეს ააიპ „საქართველო არ იყიდება“-ს სასარგებლოდ, რომელიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ სხვადასხვა ვიდეორგოლებს ავრცელებდა, რისთვისაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მას პოლიტიკური პარტიისთვის განკუთვნილი შეზღუდვები დაუწესა (იხილეთ **ინფოგრაფიკი #23**).

გიორგი ჭყონიას ერთ-ერთი კომპანია - **შპს „გზა“**, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთ-ერთი მსხვილი საგზაო-სამშენებლო კომპანიაა, რომელსაც 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე 40 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ტენდერები აქვს მოგებული.<sup>10</sup>

## 2.7. „იბეროილი“-ს შემთხვევა

2017 წელს შპს-მ **„იბეროილი“** „ქართულ ოცნებას“ 110 000 ლარი შესწირა. გარდა ამისა, ამ კომპანიასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულმა 8 პარტნიორმა მმართველი პარტიის სასარგებლოდ დამატებით 390 000 ლარი გაიღო, შესაბამისად, შემოწირულებების ჯამურმა ოდენობამ ნახევარ მილიონ ლარს მიაღწია. ამ ბიზნესჯგუფის წევრებმა „ქართულ ოცნებას“ 2016 წელსაც შესწირეს 125 000 ლარი. ასევე, საინტერესოა, რომ ზემოთნახსენები 8 პარტნიორიდან ოთხმა (**გიორგი გაგუა, ილია შონია, ვაჟა უსანეთაშვილი, თენგიზ გავაშელი**) 2012 წელს მაშინდელ მმართველ პარტიასაც შესწირა ჯამურად 120 000 ლარი. (იხილეთ **ინფოგრაფიკი #1**).

## 2.8. გოგი ლიპარტელიანთან დაკავშირებული შემომწირველები

2017 წელს შპს **„გამა“-მ** და მასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა რვა ფიზიკურმა პირმა მმართველ პარტიას მთლიანობაში 425 000 ლარი შესწირა (იხილეთ **ინფოგრაფიკი #3**). ეს ბიზნესჯგუფი, როგორც ჩანს, წინა ხუთი მოწვევის პარლამენტის წევრთან **გოგი ლიპარტელიანთან**<sup>11</sup> არის დაკავშირებული. ლიპარტელიანი მათ შორის იმითაც გამოირჩევა, რომ 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ლენტეხის მაჟორიტარი გახდა, თუმცა მოგვიანებით გაემიჯნა ამ პარტიას და „ქართულ ოცნებასთან“ დაიწყო თანამშრომლობა. შპს „გამა“-ს და მასთან დაკავშირებული რამდენიმე კომპანიის წილის მფლობელი არის გოგი ლიპარტელიანის მეუღლე - **ნაზი ლიპარტელიანი**. ასევე, აღსანიშნავია, რომ გოგი ლიპარტელიანმა საკუთარი მეუღლის კომპანიები არ მიუთითა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ შევსებულ დეკლარაციაში, რითაც კანონი დაარღვია, ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ადრეც წერდა.<sup>12</sup>

10 შპს „გზა“-ს მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში: <http://www.tendermonitor.ge/ge/organization/33010?page=1>

11 მონაცემები გოგი ლიპარტელიანის შესახებ: <http://www.parliament.ge/ge/mp/2082>

12 საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება 2015., „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2016 წელი: <https://goo.gl/j5X8ix>

## 2.9. „თეგეტა მოტორს“-ის შემთხვევა

2017 წლის ივნისიდან შპს „თეგეტა მოტორს“-მა, როგორც იურიდიულმა პირმა მმართველ პარტიას 120 000, ხოლო ამ კომპანიის მენილემ **ზაურ ცხადაძემ** და მისმა პარტნიორმა **კახაბერ ჯაფარიძემ** 60-60 ათასი ლარი შესწირეს. ცხადაძესთან დაკავშირებულმა პირებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ 400 000 ლარი გაიღეს. საინტერესოა, რომ „თეგეტა მოტორსის“ გენერალურ დირექტორსა და მენილეს - **თემურ კობოძეს**, ასევე, ზაურ ცხადაძის კიდევ ერთ ბიზნესპარტნიორს - **რომან გაბისონიას** 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ჯამში 120 000 ლარი აქვთ შეწირული (იხილეთ **ინფოგრაფიკი #6**).

„თეგეტა მოტორსი“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებებითა და მათი ნაწილებით ვაჭრობს. **ეს კომპანია სახელმწიფო შესყიდვებში აქტიურად მონაწილეობს და 2011 წლიდან მოყოლებული დაახლოებით 80 მლნ ლარის (მათ შორის, დაახლოებით 6 მლნ ლარის გამარტივებული შესყიდვის გზით) ღირებულების სახელმწიფო კონტრაქტები აქვს მოგებული.**<sup>13</sup>

## 2.10. სხვა საინტერესო შემთხვევები

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მსხვილი შემომწირველი იყო შპს „**Lion**“, რომელმაც მმართველი პარტიის სასარგებლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში 240 000 ლარი გაიღო (იხილეთ **ინფოგრაფიკი #13**). მიმდინარე წელს იგივე პარტიას 40 000 ლარი შესწირა ამ კომპანიის დირექტორმა **ვაჟა ლეკიშვილმა**, რომელიც იმით არის ცნობილი, რომ 2010 წელს ლტოლვილთა და განსახლების ამჟამინდელი მინისტრის სოზარ სუბარის ძმასთან **ვახტანგ სუბელიანთან** ერთად სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. იმ დროს საუბარი იყო, რომ ეს საქმე პოლიტიკურად იყო მოტივირებული, ვინაიდან სოზარ სუბარი 2010 წელს ხელისუფლების ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგე იყო.<sup>14</sup>

მიმდინარე წელს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ 220 000 ლარი გაიღო **შპს-მ „მევი“-მ**, მისმა დირექტორმა **ნორაირ მკოიანმა** და მენილემ **მარტუნ მკოიანმა**. ეს ბიზნესჯგუფი, როგორც ჩანს, ნინოწმინდის მაჟორიტარ პარლამენტის წევრთან **ენზელ მკოიანთან**<sup>15</sup> არის დაკავშირებული. ენზელ მკოიანი ბოლო ხუთი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. იგი 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით მოხვდა პარლამენტში, 2016 წელს კი - „ქართული ოცნების“. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ნორაირ და მარტუნ მკოიანებს სხვადასხვა წლებში ორივე პარტიისთვის აქვთ შეწირული სოლიდური თანხები (იხილეთ **ინფოგრაფიკი #16**).

მმართველი პარტიის ერთ-ერთი მსხვილი შემომწირველი იყო **შპს „კ და ლ“**. ამ კომპანიამ და მისმა თანამფლობელმა **ლევან კაჭარავამ** მიმდინარე წელს მმართველი პარტიის სასარგებლოდ 170 000 ლარი გაიღეს. აღსანიშნავია, რომ კაჭარავამ, რომელიც საზოგადოებისთვის, ასევე, ცნობილია ზედმეტი სახელით **„ტილიკა“**, და მისმა სამმა ბიზნესპარტნიორმა 2012 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასაც“ შესწირეს ჯამში 210 000 ლარი (იხილეთ **ინფოგრაფიკი #16**). გარდა ამისა, კაჭარავა 2008 წელს თბილისის წყალმომარაგების კომპანიის **„თბილისის წყლის“** (დღეს **Georgian Water and Powers (GWP)**) გაუმჭვირვალე პრივატიზების პროცესის ერთ-ერთი ფიგურანტიც იყო.<sup>16</sup>

2017 წელს ჯამში 80 000 ლარი შესწირა „ქართულ ოცნებას“ **შპს „ბორანი“-ს** სამმა თანამფლობელმა (იხილეთ **ინფოგრაფიკი #30**), სანაცვლოდ კი ამ კომპანიამ მხოლოდ მიმდინარე წელს დაახლოებით 1.5 მლნ ლარის ღირებულების სახელმწიფო კონტრაქტები მიიღო საგზაო-სამშენებლო ტენდერების მოგების გზით.<sup>17</sup>

13 შპს „თეგეტა მოტორს“-ს მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში: <http://www.tendermonitor.ge/ge/organization/36952>

14 რისთვის შეუფარდეს ორთვიანი პატიმრობა სუბარის ძმას, „ნეტგაზეთი“, 2010 წლის 28 ოქტომბერი: <http://netgazeti.ge/news/7580/>

15 მონაცემები ენზელ მკოიანის შესახებ: <http://www.parliament.ge/ge/mp/2204>

16 წყალი ოფშორებიდან: ვინ ფლობს „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერს“?, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2014 წლის 22 მაისი: <https://goo.gl/YsjTuV>

17 შპს „ბორანი“-ს მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში: <http://www.tendermonitor.ge/ge/organization/33871?page=1>

### 3. საჯარო მოსამსახურეების მიერ განხორციელებული შემოწირულებები

2017 წლის 1 ივნისიდან სულ 27-მა თანამდებობის პირმა და მათმა ოჯახის წევრმა განახორციელა მეტნაკლებად მსხვილი - 5 000 ლარზე მეტი მოცულობის ფულადი შემოწირულება. ასეთმა შემოწირულებებმა ჯამში 339 483 ლარი შეადგინა. ჩვენი შემოწმების ინტერესს წარმოადგენდა ის საჯარო მოხელეები, ან მათი ოჯახის წევრები, რომელთა მიერ პარტიისთვის გაღებული თანხა, მათი ოჯახის დეკლარირებული შემოსავლის დიდ წილს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციებში თანამდებობის პირის და მისი ოჯახის წევრის წინა წლის ჯამურ შემოსავლის მითითება ხდება, აქედან გამომდინარე, ჩვენ 2017 წელს გაღებული შემოწირულებები შევადარეთ 2016 წლის შემოსავლებს. ამ გარემოებამ შესაძლოა ამ მომენტისთვის არსებული რეალობა დაამახინჯოს, თუმცა შემოწმირველ თანამდებობის პირთა უმრავლესობას, რომელთა შემოსავლის დიდ ნაწილს ხელფასი შეადგენს, თანამდებობა არ შეუცვლია, შესაბამისად, პირის შემოსავლებიც წინა წლის იდენტური დარჩებოდა.

**გიორგი ტაბიძე** ს.ს. „RMG Copper“-ის სპეციალისტი და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საიდუმლო საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის, ნათია ბუბუტეიშვილის მეუღლეა. მან 14 აგვისტოს 30 000 ლარი შეწირა „ქართულ ოცნებას“. ნათია ბუბუტეიშვილის მიერ შევსებული ბოლო დეკლარაციის<sup>18</sup> მიხედვით, მათი ოჯახის 2016 წლის შემოსავალი 59 880 ლარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაბიძემ ოჯახის წინა წლის შემოსავლის 50% მმართველ პარტიას შესწირა.

**ნანა ბზეკალავა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარის, მიხეილ გოგოტიშვილის მეუღლეა. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის<sup>19</sup> მიხედვით მისი ოჯახის წმინდა შემოსავალი 2016 წელს (ავტომანქანის შეძენისა და ორის საბანკო სესხის მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენდა 4 593 ლარს. ბზეკალავამ 9 ოქტომბერს „ევროპულ საქართველოს“ სასარგებლოდ განახორციელა შემოწირულება 10 000 ლარის ოდენობით, რაც მისი 2016 წლის წმინდა შემოსავლის 217%-ს წარმოადგენს.

18 ნათია ბუბუტეიშვილის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, 2017 წლის 24 იანვარი: <https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/31871>

19 მიხეილ გოგოტიშვილის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, 2017 წლის 12 ივნისი: <https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/104734>

# რეკომენდაციები

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხების გაუმჯობესების კუთხით შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება მიგვაჩნია მიზანშეწონილად:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პროკურატურის მხრიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკური კორუფციის კუთხით მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებების იდენტიფიცირების საკითხს;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა მოაწესრიგოს შემომწირველთა შესახებ მონაცემთა ბაზა და გამოასწოროს არსებული ხარვეზები.

# დანართი #1

ცხრილი 1. შემომწირველები, რომლებსაც სხვადასხვა დროს ორი სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ აქვთ თანხა შეწირული			
შემომწირველის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	პარტია ან კანდიდატი რომელსაც შესწირა	2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე შემომწირულების ოდენობა (I)	სულ შემომწირულების ოდენობა (I)
თენგიზ გავაშელი 01003002124	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	38000	38000
გიორგი გაგუა 01006001848	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	37000	37000
ზაზა მეტრეველი 01006009118	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	40000	40000
დავით დუგლაძე 01008000661	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	110000
ვახტანგ საძაგლიშვილი 01009006897	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	15000	15000
სოლომონ მამუნიშვილი 01011011609	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	20000	20000
გრიგოლ მორჩილაძე 01018002152	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	110000
რაფიელ სურამელაშვილი 01018002946	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	15000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	105000
გონა ენუქიძე 01019000860	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	105000

შემომწირველის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	პარტია ან კანდიდატი რომელსაც შესწირა	2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე შემომწირულებების ოდენობა (I)	სულ შემომწირულებების ოდენობა (I)
ზურაბ გაბინაშვილი 01019002369	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	40000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	50000
ვაჟა უსანეთაშვილი 01019006353	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	38000	38000
მინდია საბანაძე 01023002458	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	49965
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	100000
დავით შენგელია 01024003652	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	55000	55000
ილია შონია 01024012981	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	37000	37000
ბესიკ მეტრეველი 01025014072	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	41000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	40000	40000
უტა მახიაშვილი 01026001199	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	50000
გონა დარჩიაშვილი 01027001762	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	50000
ვლადიმერ დარჩიაშვილი 01027005305	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	50000
გია ანდღულაძე 01030006793	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	30000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	37000	37000
მარტუნ მკოიან 07001001210	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	40000	40000

შემომწირველის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	პარტია ან კანდიდატი რომელსაც შესწირა	2017 წლის 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე შემომწირულებების ოდენობა (I)	სულ შემომწირულებების ოდენობა (I)
ლევან კაჭარავა 16001001270	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	60000
ნორაირ მკოიან 32001003236	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	55000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	40000	46800
თეიმურაზ ჯახვა 33001007092	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	15000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	15000	15000
პაატა ეზიეშვილი 35001007755	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	60000
ავთანდილ გულიკაშვილი 36001002929	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	18000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	50000
გელა ბაზაძე 60001000029	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	25000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	50000	115000
ნიკოლოზ პატარიძე 60002000764	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	15000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	15000	15000
გიორგი ქყონია 61001002082	საქართველო არ იყიდება	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	120000
პაატა სირაძე 61001014683	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	60000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	60000	60000
გიორგი ჩაკვეტაძე 62007006238	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	0	5000
	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	40000	80000

# ეროვნული ავიაკომპანია საქართველოსთვის



## სს „ნავრონი“

110 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
100 000 (2016 წ.) „ქართული ოცნება“

### სივრცე გარემონტის (ვარტნიორი)

60 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
35 000 (2016 წ.) „ქართული ოცნება“

### ორჯონიძის ვარტნიორი (ვარტნიორი)

60 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
20 000 (2016 წ.) „ქართული ოცნება“

### დავით აღმაშენებლის (ვარტნიორი)

60 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
35 000 (2016 წ.) „ქართული ოცნება“

### გორა რეკონსტრუქციის (ვარტნიორი)

60 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
35 000 (2016 წ.) „ქართული ოცნება“

## სს „ტაო 2052“

### გორა რეკონსტრუქციის (ვარტნიორი)

7 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“

330 000 (2012 წ.) „ნა“

### ორჯონიძის (ვარტნიორი)

37 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“

30 000 (2012 წ.) „ნა“

### დავით აღმაშენებლის (ვარტნიორი)

38 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“

30 000 (2012 წ.) „ნა“

### თბილისი რეკონსტრუქციის (ვარტნიორი)

38 000 (2017 წ.) „ქართული ოცნება“

30 000 (2012 წ.) „ნა“

## საერთაშორისო სააგენტო

500 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“

625 000 ₾ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“

120 000 ₾ (2012 წ.) „ნა“

# ინტეგრირებული მენეჯერული მარკეტინგული




ნატივ სანიტორია (განვითარებული დირექტორი)	გვირი დანიშნა (ფინანსური დირექტორი)	დანიშნა გარეგანი (მარკეტინგის დირექტორი)	ფინანს გარეგანი (მარკეტინგის დირექტორი)	გარეგანი გარეგანი (მარკეტინგის დირექტორი)
45 000 (2017 წ.) „მარკეტინგული“	20 000 (2017 წ.) „მარკეტინგული“	20 000 (2017 წ.) „მარკეტინგული“	20 000 (2017 წ.) „მარკეტინგული“	20 000 (2017 წ.) „მარკეტინგული“
44 600 (2016 წ.) „მარკეტინგული“	21 800 (2016 წ.) „მარკეტინგული“	33 000 (2016 წ.) „მარკეტინგული“	33 000 (2016 წ.) „მარკეტინგული“	21 600 (2016 წ.) „მარკეტინგული“
35 000 (2014 წ.) „მარკეტინგული“	15 000 (2014 წ.) „მარკეტინგული“	30 000 (2014 წ.) „მარკეტინგული“	20 000 (2014 წ.) „მარკეტინგული“	15 000 (2014 წ.) „მარკეტინგული“
13 600 (2012 წ.) „მარკეტინგული“		12 400 (2012 წ.) „მარკეტინგული“		18 000 (2012 წ.) „მარკეტინგული“
45 000 (2012 წ.) აირი „მარკეტინგული“		25 029 (2012 წ.) აირი „მარკეტინგული“		

სს „გარეგანი მარკეტინგული“

**მარკეტინგული  
გარეგანი**

125 000 € (2017 წ.) „მარკეტინგული“  
507 429 € (2012-17 წწ.) „მარკეტინგული“

# ინტეგრირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგამოკვეთა



**შპს „ბაბა“**


შპს „ბაბა“

425 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“

465 000 ₾ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“

60 000 ₾ (2012 წ.) „აგა“

# ერტელის დაკავშირებული შიდაგაყიდვები




**შიდაგაყიდვების  
ტენორი**


320 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
420 000 ₾ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“



**განვითარების გეგმის  
შედეგად**



# ერტელის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება



**დასახლებულ მოსახლეობის  
ტენიანი**

210 000 ლ (2017 წ.) „ერტელის“  
400 000 ლ (2016-17 წწ.) „ერტელის“

# ერტელის მენეჯერების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შედეგები



**ხელშეწყობის პროგრამის  
 სტრუქტურა**

290 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“
330 000 ₾ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“
20 000 ₾ (2012 წ.) „რეკონსტრუქციის პროგრამა“
20 000 ₾ (2012 წ.) „თავისუფალი დემოკრატიები“
20 000 ₾ (2012 წ.) „ეროვნული ფორუმი“
5 000 ₾ (2012 წ.) „კონსალტინგის პროგრამა“
60 000 ₾ (2012 წ.) „და“





# ერტელსი-სი და კომუნიკაციების მწოდველობის მართვის სტრატეგია




საინჟინერო-მართვის  
სტრატეგია

300 000 € (2017 წ.) „ერტელსი“



**შავი ბიზნისების  
სია**

250 000 ლ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
285 100 ლ (2012-17 წწ.) „ქართული ოცნება“



**პროექტების დაფინანსების  
სტრუქტურა**

150 000 ლ (2017 წ.) „ერტელსის მიერ დაფინანსებული“  
291 400 ლ (2012-17 წწ.) „ერტელსის მიერ დაფინანსებული“






# ერტელის დაკავშირებული შიდა მენეჯერები



**შიდა მენეჯერების  
სია**

160 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
 230 000 ₾ (2013-17 წწ.) „ქართული ოცნება“  
 95 000 ₾ (2012 წ.) „აგა“

# ერტელსის მფლობელების მიერ შიდა კაპიტალიზაცია



## შემოსულობების ტაბლი

220 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
226 800 ₾ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“  
115 000 ₾ (2012 წ.) „ელტელსი“



**საქართველოსთვის  
ავიაკომპანიის  
საბაზო**

180 000 ლ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
239 958 ლ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“  
20 000 ლ (2012 წ.) „აგა“




შეამოწმებულ მოცულობის  
ტარი

220 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“

50 000 ₾ (2012 წ.) „დავა“





შავი ბიზნისის  
ტარი

100 000 € (2017 წ.) „ერთული ოცნება“  
200 000 € (2016-17 წწ.) „ერთული ოცნება“

# ერტელის მენეჯერების ხელშეწყობის გეგმა




**ხელშეწყობის  
გეგმა**

90 000 ლ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
198 500 ლ (2012-17 წწ.) „ქართული ოცნება“




# ეროვნული საკავშირებო და საკომუნიკაციო კომპანია



**საქართველო კომუნიკაციების  
კომპანია**

100 000 ლ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
170 000 ლ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“  
75 000 ლ (2012 წ.) „საქართველო ურ ნეტივუკი“





შემოხმონრვებების  
ტარი


150 000 ლ (2017 წ.) „ქართული ოცნება“

180 000 ლ (2012 წ.) „აგა“




**შავი ბიზნისის  
საბიუჯეტო**

75 000 ლ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
150 000 ლ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“




**საერთაშორისო პროექტების  
სია**

**143 000 € (2017 წ.) „ერტელი მსოფლიო“**



**შპს-ების რეზიუმე**  
**საერთაშორისო**  
**ვიცე-დირექტორი**


115 000 € (2017 წ.) „ერტელი“  
 140 000 € (2016-17 წწ.) „ერტელი“



შავომწიროვანობის  
ტარი


105 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“

60 000 ₾ (2012 წ.) „იგა“



საინჟინერო განყოფილების  
ტარი

80 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“




**შპს-ების რევიზია**  
საბავსო მწარმოებელი (საბავსო)

68 000 € (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
5 000 € (2013 წ.) „დემოკრატიული მოქრეა“




# ერტელთან დაკავშირებული შავი ბიზნისები



შავი ბიზნისების  
სია

50 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
60 000 ₾ (2012 წ.) „აგა“



**საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების პროექტის ხარჯები**

19 000 ₾ (2017 წ.) „ერტელის განვითარების პროექტი“


60 018 ₾ (2016 წ.) „ერტელ“













**შავი მონეტების რაოდენობის  
ტაბლი**

14 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“  
34 000 ₾ (2016-17 წწ.) „ქართული ოცნება“



შიდა მფლობელების  
სია


30 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“



შპს-ების რეზიუმე  
ტაბლი

25 000 € (2017 წ.) „ქართული ოცნება“
15 000 € (2012 წ.) „იგა“

# ერტელთან დაკავშირებული შავიკაპიტალიზაცია



შავიკაპიტალიზაციის  
ტარი

25 000 ₾ (2017 წ.) „ქართული ოცნება“